



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 172/ს  
30/06/2022

172-21-4-202206301030



**კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიაბში, შპს „მეგა ჰოლდინგის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „მეგა ჰოლდინგის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიაბში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიაბში, შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის“ საკუთრებაში არსებულ 39662 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 67.01.50.142), რომელსაც კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის განთავსების GPS კოორდინატებია: X-450029; Y-4641592. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 600 მეტრით, ხოლო სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარიდან - 640 მეტრით. ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 110 მეტრში განთავსებულია შპს „ბილდერ კომპანი 2018“-ის ქვის სამსხვრევი, ხოლო 220 მეტრში - შპს „ჯერმან ცემენტ ლტდს“ ცემენტის საწარმო. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 390 მეტრში ასევე მდებარეობს შპს „ევრაზია კაპიტალის“, ხოლო 570 მეტრში - სს „კასპიელექტროაპარატის“ საწარმოები. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. მტკვარი მიედინება დაახლოებით 180 მეტრში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო ფუნქციონირებს 2016 წლიდან შპს „თბილცემენტ გრუპის“ სახელწოდებით. 2021 წლის 17 სექტემბერს აღნიშნულმა კომპანიამ შეიცვალა სახელწოდება და ამჟამად ოპერირებს შპს „მეგა ჰოლდინგის“ სახელით. დოკუმენტის მიხედვით, კომპანიის მიერ განხორციელდა საწარმოს გადაიარაღება, განთავსდა ახალი ტექნოლოგიური დანადგარები (კონუსური და როტორული სამსხვრევეები, ქვიშის და საშრობი საცრები და 2 ერთეული მიმღები ბუნკერი) და ობიექტის წლიური წარმადობა გაიზარდა 249 600 მ<sup>3</sup>-დან 360 000 მ<sup>3</sup>-მდე.

2022 წლის 4 აპრილს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „მეგა ჰოლდინგის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება,

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №069233 ოქმი და ადმინისტრაციული წარმოების მასალები განსახილველად გადაეგზავნა რაიონულ სასამართლოს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმო აღჭურვილია შემდეგი ინფრასტრუქტურით: ნედლეულის მიმღები ბუნკერები, ყბებიანი, როტორული და კონუსური სამსხვრევები, საცრელ-დამახარისხებელი დანადგარი, ქვიშის სარეცხი დანადგარი, ქვიშის და საშრობი საცრები და ლენტური ტრანსპორტიორები. ტერიტორიაზე, ნედლეულისა და პროდუქციის განთავსებისთვის მოწყობილია ღია სასაწყობე მოედნები. ობიექტზე ასევე ფუნქციონირებს ნავთობპროდუქტების საცავი (ჯამურად 30 ტონა) და წყალშემკრები რეზერვუარი (9 600 მ<sup>3</sup>).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში გათვალისწინებულია წელიწადში 360 000 მ<sup>3</sup> (93 მ<sup>3</sup>/სთ) ინერტული მასალის სველი მეთოდით გადამუშავება. ობიექტის სამუშაო გრაფიკი შეადგენს წელიწადში 240 დღეს, დღე-ღამეში 16 საათს და დასაქმებულია 28 ადამიანი. საწარმოს ნედლეულით მომარაგებისა და წარმოებული პროდუქციის გატანის მიზნით, დღე-ღამის განმავლობაში ხორციელდება დაახლოებით 20 სატრანსპორტო ოპერაცია.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი იწყება კომპანიის საკუთრებაში არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან, მარაგადახურული ავტოთვითმცვლელების საშუალებით, ქვიშა-ხრემის საწარმოს ტერიტორიაზე შემოზიდვით. ნედლეული თავსდება მიმღებ ბუნკერში, საიდანაც გადაინაცვლებს კონუსურ სამსხვრევში, უხეშად მსხვრევისთვის. დამსხვრეული მასალა, ლენტური ტრანსპორტიორის მეშვეობით, გადადის საცრელ-დამახარისხებელ დანადგარში, საიდანაც, 40 მმ-ზე მეტი დიამეტრის ფრაქცია კვლავ ბრუნდება კონუსურ სამსხვრევში, 40 მმ-ზე ნაკლები დიამეტრის ფრაქცია გადადის სამსხვრევში, მეორადი მსხვრევისთვის, ხოლო წვრილი ფრაქცია - სარეცხ დანადგარში. მიღებული პროდუქცია იყრება საცრელ-დამახარისხებელ დანადგარზე, ხარისხდება სხვადასხვა ზომის ფრაქციებად და თავსდება ღია სასაწყობე მოედანზე. დოკუმენტში სათანადოდ არ არის აღწერილი (ობიექტზე არსებული ტექნოლოგიური დანადგარების გათვალისწინებით) ქვიშა-ხრემის მსხვრევის სრული ციკლი, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, კომპანიის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავით მომარაგების მიზნით, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია 2 ერთეული მიწისზედა ლითონის რეზერვუარი (თითოეულის მოცულობა 15 ტონა), რომლებიც აღჭურვილია მარიგებელი სვეტითა და სასუნთქი სარქველებით. პირველი რეზერვუარის სასუნთქი სარქველის სიმაღლე შეადგენს 165 მმ-ს და დიამეტრი 63 მმ-ს, ხოლო მეორე რეზერვუარის სასუნთქი სარქველის სიმაღლე - 250 მმ-ს და დიამეტრი - 63 მმ-ს. ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორია მობეტონებულია და აღჭურვილია სახანძრო სტენდითა და ნავთობდამჭერი სალექარით (ბეტონის ავზი). ობიექტის საწვავით მომარაგება ხორციელდება ავტოცისტერნებით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის. ობიექტის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხორციელდება ბუტილირებული სახით, ხოლო საწარმოო მიზნით წყალაღება ხდება მდ. მტკვრიდან. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-449834;

Y-4641353. წყალაღების წერტილში განთავსებულია ტუმბო, რომლის მეშვეობით ამოღებული წყალი, მიწისქვეშა პოლიეთილენის მილის საშუალებით, გროვდება ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილ 9 600 მ<sup>3</sup> მოცულობის მქონე წყალშემკრებ რეზერვუარში (განთავსების წერტილის GPS კოორდინატები: X-450042, Y-4641628). რეზერვუარიდან წყალი, მასში განთავსებული ტუმბოს მეშვეობით, მიწოდება სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარს. ინერტული მასალის რეცხვისას და სველი წესით მსხვრევისას, საჭიროა წელიწადში 109 500 მ<sup>3</sup> მოცულობის წყალი. ობიექტზე გათვალისწინებულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა. ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყალი იკრიბება ტერიტორიაზე მოწყობილ 960 მ<sup>3</sup> მოცულობის მქონე ორსაფეხურიან სალექარში (პირველი საფეხური - 600 მ<sup>3</sup>; მეორე საფეხური - 360 მ<sup>3</sup>), საიდანაც ბრუნდება წყალშემკრებ რეზერვუარში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება ობიექტზე არსებულ ჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში, რომლის დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები იჟონება გრუნტში. დოკუმენტში არ არის განხილული სანიაღვრე წყლების დაბინძურების საკითხი, ასევე, არ არის შეფასებული ნიადაგზე/გრუნტზე, მიწისქვეშა წყლებზე და ზედაპირული წყლის ობიექტზე მოსალოდნელი ზემოქმედება, რაც საჭიროებს დაზუსტებას და დამატებით შესწავლას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს (სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი და ნავთობპროდუქტების საცავი) ექსპლუატაციისას მოსალოდნელია მავნე ნივთიერებების, კერძოდ, არაორგანული მტვრის, ნაჯერი ნახშირწყალბადების და გოგირდწყალბადების წარმოქმნა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. დოკუმენტში წარმოდგენილია ობიექტის ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ასევე, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები. საწარმოს წარმადობისა (360 000 მ<sup>3</sup> /წელ) და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის (600 მ) გათვალისწინებით, მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლასა და შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტის ფუნქციონირების ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების ძირითადი წყაროებია ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. დოკუმენტში მოცემულია მოსალოდნელი ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგები, თუმცა, არ არის დაზუსტებული ხმაურის წარმომქმნელი პოტენციური წყაროები. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ხმაურის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება დაუსაბუთებელია და საჭიროებს დამატებით შესწავლას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტის ოპერირების ეტაპზე წარმოქმნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები, რომლებიც გროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს კასპის მუნიციპალური სამსახური, ხელშეკრულების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენები, მათ შორის ნავთობდამჭერ სალექარში დაგროვილი ნარჩენი, შემდგომი მართვის მიზნით,

გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას, ხოლო ორსაფეხურიან სალექარში წარმოქმნილი შლამის გატანა ხდება სარეალიზაციოდ, დაგროვების შესაბამისად.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოს სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სამეწარმოდ ათვისებულ ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციით გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 110 მეტრში განთავსებულია შპს „ბილდერ კომპანი 2018“-ის ქვის სამსხვრევი, ხოლო დაახლოებით 220 მეტრში - შპს „ჯერმან ცემენტ ლტდს“ ცემენტის საწარმო. გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 390 მეტრში მდებარეობს შპს „ევრაზია კაპიტალის“, ხოლო 570 მეტრში - სს „კასპიელექტროაპარატის“ საკუთრებაში არსებული საწარმოები, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის და საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დოკუმენტში შესწავლილი და შეფასებული არ არის შპს „მეგა ჰოლდინგის“, შპს „ბილდერ კომპანი 2018“-ის და შპს „ჯერმან ცემენტ ლტდს“ ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ისე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების კუთხით. შესაბამისად, არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების საკითხი საჭიროებს დამატებით კვლევას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გაიგზავნა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საქმიანობასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ შენიშვნები, რომელიც ეხება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართვისა და მათი პოზიციის მხედველობაში მიღების აუცილებლობას, საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, კუმულაციური ზემოქმედების არასათანადოდ შეფასებასა და ხმაურის დონის გამოთვლის ბუნდოვან გაანგარიშებას, ასევე, კანონმდებლობით დადგენილი ხმაურის ნორმების გადაჭარბებისთვის საწარმოს არაერთხელ დაჯარიმების საკითხს (შპს „თბილცემენტ გრუპის“ სახელწოდებით ფუნქციონირებისას).

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის წარმადობის, კომპლექსურობისა და კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციით მოსალოდნელია გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტისა და მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიაბში, შპს „მეგა ჰოლდინგის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „მეგა ჰოლდინგი“ ვალდებულია, უზრუნველყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მეგა ჰოლდინგს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მეგა ჰოლდინგის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო